



ქ. თბილისი

„21“ მაისი 2015 წელი

ბრძანება № 01-18

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2. პუნქტის, „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N 01/745 ბრძანებით (2015 წლის 13 იანვრის N01/77 ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) დამტკიცებული სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს გენათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 119/ნ ბრძანების 21-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 მაისის N4 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 17 ივნისს.

2. გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები და განცხადება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2015 წლის 21 მაისს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 25 მაისიდან - 8 ივნისის ჩათვლით.

4. რეგისტრაცია იწარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ 10 საათიდან 17 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის N 49, პირველი სართული ოთახი 116.

რექტორის მ/შ,
პროფესორი



ჯემალ მაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040

www.sportuni.ge

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

4.1 განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მსურველი პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, თანამდებობის ზუსტი დასახელება;

4.2 განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) ორი ფოტოსურათი (3X4);

დ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;